

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია

„ელკანა“

წესდება

ახალი რედაქციით

თბილისი  
2009

## **ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“**

### **წესდება**

#### მუხლი I. ზოგადი დებულებები

1. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (შემდგომში - „ასოციაცია“) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა კავშირი
2. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 1994 წლის 6 ოქტომბრის № 17/26 დადგენილებით. ხელახალი რეგისტრაცია განხორციელდა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ 1998 წლის 25 დეკემბრის, 2001 წლის 8 აგვისტოს და 2003 წლის 14 მარტის დადგენილებებით, რეესტრის № 5/9-86.
3. ასოციაციას უფლება აქვს თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიცინო სასამართლოებში.
4. ასოციაციას შეუძლია დაიცვას და წარმოადგინოს თავისი წევრების კანონიერი ინტერესები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.
5. ასოციაცია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით.
6. ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, მათ შორის უცხოური ვალუტით. მას აქვს ბეჭედი თავისი დასახელებით, შტამპები, ბლანკები და სხვა ატრიბუტები.
7. ასოციაცია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
8. ასოციაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, 0177, გაზაფხულის ქ. № 16.
9. ასოციაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

#### მუხლი II. ასოციაციის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ასოციაციის მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა მდგრადი ფერმერული ბიომეურნეობების განვითარებისა და მოსახლეობის თვითაქტივობის ზრდის გზით.
2. ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
  - 2.1 ბიოაგროწარმოების, როგორც გარემოსათვის უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო სისტემების, პოპულარიზაცია და დანერგვა;
  - 2.2 მიწათმოქმედების სისტემაში ბიოლოგიური ციკლების გაძლიერებისა და გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა;
  - 2.3 გლეხთა ინტერესების დაცვა;
  - 2.4 ბიომეურნეობის ხელშეწყობი კანონმდებლობის ღობირება;
  - 2.5 მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
  - 2.6 ზრდასრულთა განათლების სისტემის შექმნა ბიოაგროწარმოების დარგში;
  - 2.7 თანამონაწილეობითი კვლევების დანერგვა ფერმერულ მეურნეობებში;
  - 2.8 ენდემურ და აბორიგენულ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვა და მისი მიზანმიმართული გამოყენება;

- 2.9 სოფლების, გლეხებისა და ფერმერებისათვის კვალიფიციური სამრჩევლო სამსახურის ჩამოყალიბება;
- 2.10 ბიოპროდუქტების ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- 2.11 ბიოფერმერთათვის სარგებლის მომტანი ძირითადი და დამატებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- 2.12 საქართველოში ბიომეურნეობების რაოდენობისა და თვისობრივი მაჩვენებლების განუხრელი ზრდის ხელშეწყობა.

მ უ ხ ლ ი III. ასოციაციის წევრის სტატუსი

- 1. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს 18 წელს მიღწეული საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, აგრეთვე იურიდიული პირი.
- 2. ასოციაციაში წევრად მიღების საკითხს წყვეტს „ელკანას“ გამგეობა მსურველის წერილობითი მომართვის საფუძველზე, მომართვიდან უახლოეს სხდომაზე; წევრობის მსურველის მომართვას თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობის ასლი, ასოციაციის სამრჩევლო სამსახურის თანამშრომლის სარეკომენდაციო წერილი და საწევრო გადასახადის გადახდის ქვითარი. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით გამგეობამ უარი უთხრა განმცხადებელს ასოციაციაში გაწევრიანებაზე, მას გადახდილი საწევრო გადასახადი უკან დაუბრუნდება.
- 3. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:
  - 3.1 თანასწორი უფლებით მონაწილეობდეს ასოციაციის წევრთა საერთო კრების მუშაობაში;
  - 3.2 არჩეულ იქნეს ასოციაციის მართვის ორგანოებში არსებულ ნებისმიერ თანამდებობაზე, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე იმუშაოს ასოციაციაში;
  - 3.3 მიიღოს ასოციაციის პროგრამით გათვალისწინებული უფასო მომსახურება და პუბლიკაციები, ასევე მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ მოწოდებულ ყველა საერთო ღონისძიებაში;
  - 3.4 იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის წევრს წევრობა შეუჩერდა საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო, მას აქვს უფლება, ერთი წლის შემდეგ აღიდგინოს წევრობა მოსაკრებლის გადახდის გზით.
- 4. ასოციაციის წევრი ვალდებულია:
  - 4.1 ყოველწლიურად გადაიხადოს საწევრო გადასახადი გამგეობის მიერ დადგენილი ოდენობით, ამასთან პირველი შესატანი გადახდილი უნდა იქნეს გამგეობის მიერ პირის გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო ყოველ მომდევნო წელს - შესაბამისად პირველ 1 მაისამდე;
  - 4.2 დაიცვას ასოციაციის წესდების მოთხოვნები, ხოლო მეურნეობის წარმოებისას ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია “ელკანას” სტანდარტები;
  - 4.3 გაუფრთხილდეს ასოციაციის ღირსებასა და ავტორიტეტს.
- 5. საწევრო შენატანის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში ასოციაციის წევრს ეგზავნება გაფრთხილების წერილი შენატანის გადაუხდელობის შედეგების განმარტებით, ხოლო წერილის მიღებიდან 2 თვის შემდგომ (მაგრამ არა უგვიანეს 1 ივლისისა) ავტომატურად შეუჩერდება წევრის უფლებამოსილება.
- 6. ასოციაციის წევრის უფლებამოსილება წყდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით:
  - 6.1 თუ წევრის საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, ან/და ზიანს აყენებს ასოციაციის ღირსებასა და ავტორიტეტს, ან/და მეურნეობის წარმოებისას წევრი უხეშად არღვევს “ელკანას” სტანდარტებს;
  - 6.2 პირადი განცხადების საფუძველზე;

- 6.3 სასამართლოს გადაწყვეტილებით, წევრის ქმედუხნაროდ ცნობისას, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან;
- 6.4 გარდაცვალებისას.

#### მ უ ხ ლ ი IV .

#### ასოციაციის წევრთა საერთო კრება

1. ასოციაციის წევრთა საერთო კრება ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა.
2. ასოციაციის წევრთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა 4 წელიწადში ერთხელ, ასევე ნებისმიერ დროს, როდესაც ამას ასოციაციის ინტერესები მოითხოვს. საერთო კრება აგრეთვე შეიძლება მოწვეულ იქნეს წევრთა მეათედის წერილობითი მოთხოვნით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს კრების დღის წესრიგი.
3. გამგეობა ვალდებულია, კრების მოწვევის შესახებ ასოციაციის ყველა წევრს წერილობით ან ასოციაციის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებით აცნობოს კრების ჩატარების ადგილი, თარიღი და დღის წესრიგი კრებამდე ორი კვირით ადრე მაინც.
4. ასოციაციის წევრები, საერთო კრებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე, იწვევენ ასოციაციის წევრთა რეგიონულ კრებას, რომელზეც აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებას კრებაზე განსახილველი საკითხების მიმართ და ირჩევენ დელეგატებს, რომლებიც წარმოადგენენ მათ ინტერესებს ასოციაციის წევრთა საერთო კრებაზე.
5. ასოციაციის წევრებს, რომლებიც არ აურჩევიათ რეგიონული კრების დელეგატებად, მაგრამ სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებაში, უფლება აქვთ, ჩვეულებრივ რეჟიმში მონაწილეობდნენ საერთო კრების მუშაობაში.
6. რეგიონული კრების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კრებაზე დამსწრე წევრები. ოქმში უნდა ჩაიწეროს ის მოსაზრებები, რომლებიც რეგიონული კრების მონაწილეებმა გამოთქვეს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. ოქმში აღინუსხება აგრეთვე ის წევრები, რომლებიც არ აურჩევიათ დელეგატებად, მაგრამ გამოთქვეს ასოციაციის საერთო კრებაში მონაწილეობის სურვილი. აღნიშნული ოქმი უნდა წარედგინოს ასოციაციის ადმინისტრაციას საერთო კრებამდე სულ მცირე ორი დღით ადრე მაინც. რეგიონული კრების ოქმს ხელს აწერენ რეგიონული კრების თავმჯდომარე და მდივანი.
7. დელეგატი წევრი შეიძლება წარმოადგენდეს ასოციაციის არაუმეტეს 5 წევრს საკუთარი თავის ჩათვლით. დელეგატი წევრებისათვის ხმის გადაცემა ჩაინიშნება რეგიონული კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.
8. ასოციაციის წევრთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:
  - 8.1 გამგეობის წევრთა არჩევა, მათი ანაზღაურების ფორმა და ოდენობა;
  - 8.2 გამგეობის წევრობის 3 სარეზერვო კანდიდატის არჩევა;
  - 8.3 გამგეობის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგებისა და ანგარიშების დამტკიცება;
  - 8.4 ასოციაციის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
  - 8.5 ასოციაციის მიზნის შეცვლა;
  - 8.6 ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
9. წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტის 8.1 და 8.2 ქვეპუნქტებში განსაზღვრული გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით; 8.3 და 8.4 ქვეპუნქტებში განსაზღვრული გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით და საჭიროებს დამსწრე წევრთა ხმების ორ მესამედს; 8.5

და 8.6 ქვეპუნქტებში განსაზღვრული გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, ასოციაციის ყველა წევრის ხმების ოთხი მეხუთედით.

10. იმ წევრებს, რომლებიც არ ესწრებიან კრებას და მათ არ დაუვალებიათ რაიონულ კრებაზე თავისი უფლებების დელეგირება დელეგატი წევრისათვის, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს.
11. ასოციაციის წევრთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზეც აუცილებელია კრების თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერა. ასოციაციის წევრთა საერთო კრების თავმჯდომარესა და მდივანს ასოციაციის წევრთა რიგებიდან ირჩევენ ასოციაციის წევრთა საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით - კრების ჩასატარებლად და მისი მიმდინარეობის შესახებ სათანადო დოკუმენტაციის შესადგენად.

## მ უ ხ ლ ი V. ასოციაციის გამგეობა

1. გამგეობა შედგება 9 წევრისაგან, მას ირჩევენ ასოციაციის წევრთა საერთო კრება 4 წლის ვადით. გამგეობის წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარეს ხმათა არანაკლებ 2/3-ით.
2. გამგეობის წევრს არ შეიძლება ეკავოს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობა.
3. ასოციაციის გამგეობა:
  - 3.1 ამუშავებს ასოციაციის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
  - 3.2 ამტკიცებს "ელკანას" სტანდარტებს;
  - 3.3 დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის სამოქმედო გეგმებს, ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშებს;
  - 3.4 დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას და საშტატო განრიგს;
  - 3.5 განსაზღვრავს ასოციაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
  - 3.6 დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის შრომით პოლიტიკას;
  - 3.7 იღებს გადაწყვეტილებებს საწარმოების, არასამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნების, ასევე ასოციაციის ფილიალებისა და წარმომადგენლობების შექმნის შესახებ და ამტკიცებს მათ დებულებებს; იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამ საწარმოთა ან არასამეწარმეო იურიდიული პირების წესდებების თანახმად წევრის, პარტნიორის ან დამფუძნებლის უფლებამოსილებას განეკუთვნება;
  - 3.8 განსაზღვრავს ასოციაციის უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილ პირებს და ამ უფლებამოსილების ფარგლებს;
  - 3.9 ნიშნავს ასოციაციის დირექტორს და ათავისუფლებს მას, დებს და წყვეტს მასთან შრომით ხელშეკრულებას;
  - 3.10 ამტკიცებს ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობისა და 100 000 ლარზე მეტი თანხის ღირებულების პროექტებს.
  - 3.11 ამტკიცებს ასოციაციის ემბლემასა და სხვა სიმბოლოებს;
  - 3.12 წყვეტს ყველა იმ საკითხს, რომელიც ამ წესდებით სხვა ორგანოთა კომპეტენციას არ განეკუთვნება.
4. გამგეობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობის თავმჯდომარე წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად, ასევე

წარმოადგენს ასოციაციას წინამდებარე მუხლის 3.9 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთობებში.

5. გამგეობის თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს გამგეობის ერთ-ერთი წევრი - თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც გამგეობის წევრთა რიგებიდან ირჩევს გამგეობა ხმათა უბრალო უმრავლესობით.
6. გამგეობის რეგულარული სხდომები იმართება 3 თვეში ერთხელ მაინც. სხდომებს იწვევს გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შემსრულებელი, მის არჩევამდე კი - გამგეობის უხუცესი წევრი. სათათბირო ხმის უფლებით სხდომას შეიძლება დაესწრონ გამგეობის წევრობის კანდიდატები (რეზერვი). რიგგარეშე სხდომას იწვევენ გამგეობის თავმჯდომარის ინიციატივით, ან დირექტორის რეკომენდაციით. რიგგარეშე სხდომა ასევე შეიძლება მოწვეულ იქნეს გამგეობის წევრთა ორი მესამედის წერილობითი მოთხოვნით.
7. გამგეობა გადაწყვეტილება უნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
8. გადაწყვეტილება გამგეობის სხდომაზე მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.
9. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი გამგეობის არჩევამდე.
10. გამგეობის რომელიმე წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში (საკუთარი განცხადების საფუძველზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზით) გასული წევრის ადგილს დაიკავენ სარეზერვო კანდიდატი წევრთა საერთო კრებაზე მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისად.
11. გამგეობა ანგარიშვალდებულია ასოციაციის წევრთა საერთო კრების წინაშე.
12. გამგეობის მიერ ჩატარებული თითოეული სხდომის შემდეგ დგება ოქმი, რომელზე აუცილებელია სხდომის თავმჯდომარის და სხდომის მდივნის ხელმოწერა.

## მ უ ხ ლ ი V I . დირექტორი

1. ასოციაციის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს.
2. დირექტორი ორგანიზებას უწევს ასოციაციის წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას და წევრებს ასოციაციის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა სხვა საკითხს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
3. დირექტორი ასორციელებს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე.
4. იგი ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის საფინანსო დოკუმენტებს, გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ასოციაციის ყველა თანამშრომლისათვის. დირექტორი კოორდინაციას უწევს ასოციაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.
5. დირექტორი მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში, წარმოადგენს საზოგადოების ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე. იგი მოქმედებს ერთპიროვნულად და მისი

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ არის შეზღუდული.

6. დირექტორი პასუხისმგებელია იმაზე, რომ ასოციაციის საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ნორმების შესაბამისად. დირექტორი ვალდებულია ათი წლის განმავლობაში შეინახოს ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.
7. დირექტორი უფლებამოსილია:
  - 7.1 გარკვეული დროით გადასცეს თავისი ზოგიერთი ფუნქციის შესრულება სხვა თანამშრომელს;
  - 7.2 დანიშნოს და გაათავისუფლოს ასოციაციის, ფილიალებისა და წარმომადგენლობების თანამშრომლები;
  - 7.3 დადოს გარიგებები, გასცეს მინდობილობები;
  - 7.4 გახსნას ანგარიშები;
  - 7.5 მიიღოს სხვა გადაწყვეტილებები ასოციაციის მიზნების მისაღწევად.
8. დირექტორი ანგარიშგაღებულა ასოციაციის გამგეობის წინაშე.
9. დირექტორის უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით.
10. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, იგი ნიშნავს თავის შემცვლელ პირს. ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში არყოფნის შემთხვევაში დირექტორი ამის შესახებ აცნობებს გამგეობის თავმჯდომარეს.

## მ უ ხ ლ ი VII.

### ასოციაციის ქონება, სამეურნეო საქმიანობა და პასუხისმგებლობა

1. ასოციაციას უფლება აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ეწეოდეს სამეურნეო და დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობას.
2. ასოციაციის ქონებას შეადგენს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის საჭირო ძირითადი ფონდები, საბრუნავი სახსრები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია ასოციაციის დამოუკიდებელ ბალანსში.
3. ასოციაციის ფინანსური სახსრების წარმოქმნის წყაროებია:
  - 3.1 საწევრო შენატანები;
  - 3.2 გრანტები, ნებაყოფლობითი საკველმოქმედო შენატანები და შემოწირულობანი;ასოციაციის მიერ მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;  
ასოციაციის მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მიერ მიღებული შემოსავლები;  
სხვა წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. ასოციაციას შეუძლია საკუთრებაში იქონიოს ქონება, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
5. ასოციაციის საწარმოო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგება ასოციაციის წევრთა შორის არ განაწილდება და იგი გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნების მისაღწევად.

## მ უ ხ ლ ი VIII.

### ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ასოციაციის საქმიანობა წყდება ასოციაციის წევრთა საერთო კრების ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით.
2. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. ასოციაციის ლიკვიდაციის დროს ასოციაციის წევრთა საერთო კრება, ცალკეულ შემთხვევაში კი – სასამართლო, ამტკიცებენ სალიკვიდაციო პროცედურას.
3. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილნი არიან:
  - 3.1 ასოციაციის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირები;
  - 3.2 მსგავსი მიზნებისა და საქმიანობის მქონე არასამეწარმეო იურიდიული პირები.
4. ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.